ოქმი:ო31. 3123326001
თარიღი:22/11/2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №11

ქ. ლანჩხუთი

17. 11. 2023 წელი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე გია გოგუაძე, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თორნიკე ტიკაძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ურუშაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის

დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ცენტრალიზებულ დონეზე, უკვე დაწყებულია მუშაობა დღევანდელი დღის წესრიგის დამატებით საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. მისი თქმით, პირველკლასელთა და საერთოდ დაწყებითი კლასების განათლებისა და კვების საკითხის მოწესრიგება ზოგადად პრიორიტეტი და მისაღებია, მაგრამ ამ პროექტის განსახორციელებლად ყველა საჯარო სკოლაში ჯერ-ჯერობით არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნება, თუ აღნიშნული საკითხი შესწავლის მიზნით ჯერ გადაიგზავნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და იქიდან მოსული პასუხის შემდეგ მოხდება მისი ადგილობრივ დონეზე შესწავლა და განხილვა, ამასთანავე, ზემოხსენებული პროექტი არ არის სრულყოფილი, მოსაყვანია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან შესაბამისობაში, რის გამოც მიზანშეწონილად მიაჩნია მისი დღის წესრიგიდან ამოიღება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გია გოგუაძემ** განმარტა, რომ ბაღში სამჯერად კვებაზე მიჩვეული პირველკლასელი ბავშვისთვის განსაკუთრებით რთულია სკოლაში დროულად და მოწესრიგებული(ნაკვები) მისვლა. მისი მოსაზრებით, ამ პროექტს არ სჭირდება ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შეზღუდული საბარათე სისტემაა და ბავშვს შეეძლება ისარგებლოს ნებისმიერ სუპერმარკეტში, ამიტომ კარგი იქნება, თუ ამ პროგრამას გაუშვებენ როგორც საპილოტეს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მან მერიის შესაბამის სამსახურს უკვე დაავალა და აღნიშნული საკითხი გადამისამართებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, რათა ოფიციალურად მოვიდეს პასუხი და შემდგომ განვიხილოთ ადგილობრივ დონეზე. ამასთანავე, მას აქვს ინფორმაცია, რომ ამ საკითხზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უკვე დაწყებულია მუშაობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტიდან საკითხის: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ამოღებას.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 წევრმა(გია გოგუაძე, მაკა მშვიდობაძე და ალექსანდრე მახათაძე).

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის

მოადგილემ **გია გოგუაძემ** დატოვა ბიუროს სხდომა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტის საბოლოო ვარიანტი:

1. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი პაატა ურუშაძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თორნიკე ტიკაძე/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

/თანამომხსენებელი როლანდ ლაშხია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

8. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 27 ნოემბერი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 12 სექტემბრის NGOV 2 23 00026382 წერილის საფუძველზე. მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის მიერ, განხორციელებული სამართლებრივი ზედამხედველობის ფარგლებში, ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან დადგენილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც, რომლის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **პაატა ურუშაძემ.** მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტის მომზადება განპირობებულია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საკრებულოს, 2023 წლის 24 აგვისტოს №16 დადგენილებით დაზუსტდეს წარმატებული პედაგოგის განმარტება და ფულადი ჯილდოს მიღების მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მედალოსნების, ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე ასპროცენტიანი გრანტის მფლობელი წარმატებული ახალგაზრდების მიერ განაცხადის შემოტანის პერიოდი. ასევე განისაზღვროს, ფულადი ჯილდოს ოდენობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო, კერძო და სახელოვნებო სკოლებში გამოვლენილი წლის საუკეთესო მასწავლებლისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან დადგენილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ურუშაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები(გადასახდელები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) განსაზღვრულია 25821474 ლარით. აქედან: შემოსავლების გეგმა (კაპიტალურის ჩათვლით) შეადგენს 15886648 ლარს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სამი კვარტლის მონაცემებით საკუთარმა შემოსულობებმა 434000 ლარით გადააჭარბა გადასახდელებს და მოხდა ნაშთის ზრდა (დაგროვება) გადასახდელებისათვის ნაშთიდან იქნა გამოყენებული

2683800 ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილებამ 972100 ლარი შეადგინა. 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 1171866 ლარი. საანალიზო პერიოდში ბიუჯეტში გადასახადების სახით მობილიზებულია 9424000 ლარი, გეგმის 95.0%-ი. გადასახადების 91.8%-ი 8651900 ლარი დამატებითი ღირებულების გადასახადია, 8.2%-ი ქონების გადასახადია.

მუნიციპალიტეტის გადასახდელებში ფაქტობრივად დახარჯული 24403891 ლარიდან ხარჯებმა შეადგინა 60,5%-ი - 14764200 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდამ 39,4%-ი - 9610611 ლარი, ვალდებულების კლება 0,12%-ი - 29000 ლარი. შტატით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 5129045 ლარი 34,7%-ი, შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაცემულია გაწეული ხარჯების 8,6%-ი, სოციალურ ღონისძიებებზე 587900ლარი - ხარჯების 4,0%-ი.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 5241500 ლარს, მათ შორის განკარგულებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენდა 2989100 ლარს, საიდანაც 2252400 ლარი მიიმართა 2023 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. ასევე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებისათვის გაწერილია 2023 წლის ბიუჯეტში 2683800 ლარი.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 24403,8 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის (31466,5 ათ ლარი) 72,18%-ია.

2023 წლის III კვარტალში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 4731,1 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმური მაჩვენებლის 72,2%-ია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა 872,7 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 3000,0 ათ. ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური 121,3 ათ. ლარი. 2. საერთო დანიშნულების ხარჯები: მუნიციპალიტეტის ვალდებულების მომსახურება და დაფარვა - 40,8. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 696,3 ათ. ლარი. სარეზერვო ფონდიდან 2023 წლის III კვარტალში გახარჯულია მერის ბრძანების საფუძველზე 43050 ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიმართულია საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 11623 ათასი ლარი, რაც გეგმის 78,3 პროცენტია.

2023 წლის სამ კვარტალში გაფორმებული იქნა 208 ხელშეკრულება სხვადასხვა სახის მომსახურების, ინფრასტრუქტურული სამუშაოების და ინვენტარის (საქონელის) შესაძენად, თანხით 15546524 ლარი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 2958960 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 12507564 ლარი.

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებაზე გაწეული იქნა 2640,7 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3200,5 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 82,5 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1406,2 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას 1211,5 ათასი ლარი. ახალგაზრდობის მხარდაჭერაზე 22,9 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 729,6 ათასი ლარით 79,4%-ით, მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 129,5 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 600 ათასი ლარი.

ბიუროს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **თორნიკე ტიკაძემ.** მან განმარტა, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად ევროკავშირმა შეიმუშავა ინიციატივა — მერების შეთანხმება. ინიციატივა წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობების ნებაყოფლობით გაერთიანებას და ორიენტირებულია კლიმატის ცვლილების შერბილებაზე, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებასა და მდგრადი, საიმედო და ხელმისაწვდომი ენერგიის წვდომაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აღნიშნულ ინიციატივას 2017 წელს შეუერთდა, შეიმუშავა მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა, რითაც განსაზღვრა კლიმატის ცვლილების დასაძლევად 2030 წლამდე განსახორციელებელი ადგილობრივი აქტივობები. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ 2030 წლამდე პერიოდში, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დაგეგმილი ყველა აქტივობა. გეგმის მიზანია სათბურის აირების ემისიებისა და ენერგიის მოხმარების შემცირება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სამოქმედო გეგმა, პირველ რიგში, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ენერგოეფექტურობის გაზრდას. ამასთან, ითვალისწინებს ღონისძიებებს არამუნიციპალური სექტორებისთვისაც.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე თორნიკე ტიკაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წლის ოქტომბრის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1670498 ლარი; საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 1622889 ლარი შეადგინა, დღგ-მ შეადგინა 1101246 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 12764 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 41866 ლარი; სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 467258 ლარი, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 43900 ლარი; საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 9828 ლარი; ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 5369 ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 383097 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წლის ოქტომბრის თვეში შემოსულობებმა 3293387 ლარი შეადგინა.

განვლილ საფინანსო პერიოდში შრომის ანაზღაურება დროულად იქნა გაცემული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა არ დაფიქსირებულა.

ბიუროს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე. 2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 18492,0 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 990,9 თასი ლარით (5,7 %-ით). ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათ. ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა საკუთარი შემოსავლებით შეადგენს 22171,7 ათას ლარს (2023 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 2594,6 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი განხილული იქნება საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ, მოეწყობა საჯარო განხილვა და შენიშვნებისა და წინადადებების არსებობის შემთხვევაში მოხდება მისი დაბრუნება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილების (ვებგვერდი, 02/10/2017 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.112.016312) მეორე მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“-ში შევიდეს ცვლილება და მე-3 მუხლს დაემატოს მე-3^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3^1-საბჭოს წევრის მიერ სხდომის ზედიზედ ორჯერ არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობის შემთხვევაში წევრს, საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შეუწყდება საბჭოს წევრობის უფლებამოსილება.“

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვერიკო კვირკველია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები არ განხილულა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი